

არალეგალური კოსმონავტიკა

ორგანიზატორები:
მაგდა გურული
მარიამ ნატროშვილი

24 ივნისი - 22 ივლისი, 2017

კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი
საგურამო, თბილისი, საქართველო
11:00 - 18:00 ყოველდღე

გახსნა: შაბათი, 24 ივნისი, 18:00 - 20:00

მონაწილეები:

ზურა ჯიშკარიანი
გიორგი მალრაძე
ჯგუფი ბულიონი

ილიკო ზაუტაშვილი
მამუკა ჯაფარიძე
ანა და თამარ ჩადუნელები

მარიამ ნატროშვილი და
დეთუ ჯინჭარაძე



გურამ წიბახაშვილი, "ავტობიოგრაფია დაბადებამდე" (პროექტიდან "დაუდგენელი მასალების მუზეუმი"), 2017

სტატიაში, "პოსტკომუნისმიის შვილები", სადაც 1989-90 წლების დემოკრატიულ რევოლუციებს მიმოიხილავდა, ხორვატი ფილოსოფოსი ბორის ბუდენი, რევოლუციების შემდგომ პერიოდზე წერდა: "ჯერ კიდევ გუშინ, ამ ადამიანებმა მსოფლიოს ისტორია შეცვალეს ... დღეს კი პირველი ნაბიჯების სწავლა უხდებათ" ("რადიკალური ფილოსოფია", no. 159, 2010)

"პირველი ნაბიჯები" დემოკრატიისკენ რთული აღმოჩნდა. ადრეული 1990-ანი წლების პოსტ-საბჭოთა ეიფორიის ფონზე, ტერიტორიული კონფლიქტების, ეკონომიკური კრიზისების და გადარჩენისთვის ბრძოლით აღბეჭდილმა ახალმა დროებამ, ახალი კრიზისი მოიტანა - განსაკუთრებით საქართველოში. დღეს ეიფორია ჩავლილია და ახალ დემოკრატიებს საკუთარ საზღვრებს მიღმა მიმდინარე ომების, ლტოლვილების, რადიკალური ლიდერების და პოტენციური გეოპოლიტიკური ფრაგმენტაციის გადააზრება უწევთ. ამ პროცესში ხელშემწყობი არც დასავლეთში მიმდინარე იდეოლოგიური კრიზისია.

"არალეგალური კოსმონავტიკა" საბჭოთა წარსულს და პოსტ-საბჭოთა აწმყოს ეხმაურება და ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას სვამს: რა სახის უნარები უნდა გვქონდეს გადასარჩენად, თუ ახლანდელი სისტემებიც დაინგრევა? პროექტში არტისტთა რამდენიმე თაობა მონაწილეობს. თაობა, რომელიც სოცრეალიზმის წნეხის ქვეშ ცხოვრობდა და თაობა, რომელიც გაჭედილია მემარცხენე იდეებსა (სტალინისტურ და დასავლურ) და კაპიტალიზმის თანამედროვე კრიტიკას შორის. პროექტი მოიცავს ვორკშოპების სერიას, რომელთა მიზანი "არალეგალური კოსმონავტიკის" კულტივირებაა - ადამიანის, რომელსაც გადარჩენის რუდიმენტური უნარები გააჩნია და ადგილ-სპეციფიკურ ნამუშევრებს, რომლებიც საგურამოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში იქნება გამოფენილი.

"არალეგალური კოსმონავტიკა" 2016-2017 წლების აპექსარტის ფრანშიზული პროგრამის გამოფენაა.

მაგდა გურული, თბილისში მომუშავე თანამედროვე ხელოვნების კურატორი. 2008 წლიდან თანამედროვე ხელოვნების ყოველწლიური საერთაშორისო გამოფენის "არტისტერიუმის" ორგანიზატორი და კურატორი. გამოფენების ავტორი მოსკოვში, ნანტში, სტამბულსა და ვენეციაში. მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში, ვორკშოპსა და სიმპოზიუმში.

მარიამ ნატროშვილი, არტისტი, კურატორი, ცხოვრობს თბილისში. მუშაობს მიტოვებულ შენობებსა და საჯარო სივრცეებში ხელოვნების ინტერვენციის თემაზე, იკვლევს ალტერნატიული მომავლის შესაძლებლობებს, პოსტ-საბჭოთა მითოლოგიას, დაკარგვად ცოდნას, უხილავ ადამიანებს, დავიწყებულ ადგილებს და გამქრალი მეხსიერების აღდგენის გზებს.

მეტე ინფორმაციისთვის: Elizabeth.Larison@apexart.org ან apexart.org/exhibitions/guruli-natroshevili.php

apexart's programs are supported in part by The Andy Warhol Foundation for the Visual Arts, The Buhl Foundation, the Degenstein Foundation, Lambert Foundation Fund of Tides Foundation, Bloomberg Philanthropies, The Greenwich Collection Ltd., Affirmation Arts Fund, the Milton and Sally Avery Arts Foundation, the Fifth Floor Foundation, and with public funds from the New York City Department of Cultural Affairs in partnership with the City Council and the New York State Council on the Arts with the support of Governor Andrew M. Cuomo and the New York State Legislature.